

დამწერა

№2, 2013



ნაერ, ზამთარო



იოსებ მარტივიშვილი


წადი ზამთარო, ქარბუქიანო,
წაიღე ჭირი დაჩაგრულისა,
რომ მომიბრუნდეს, უინულიანო,
ია და გარდი გაზაფხულისა.


კეტრფი გაზაფხულს უვავილიანსა,
მრავალფეროვანს – ქვეწისა გვირგვინს,
სხივს შვების მომცემს, სიცოცხლიანსა
და კელ-მინდორზე ჯეჯილთა ბიბინს.

გარეთ აღარვინ გაიუინება,
აარაკრაკებს სალამურს მწევები
და ქვეპანასაც მოეფინება
საგაზაფხულოდ მჟღერავი ლექსი!

„ნაკადული“, 1913 წ. №3

მხატვარი
ქათი გაინდურაშვილი





საქონლის ქვეყანა

დალი მაზმიშვილი

ცამ ღვთის მადლი
გაამრავლა
სხივად გადმოიღვარა,
გამთლიანდა საქართველო,
ნათლიების ქვეყანა.
დაგითი თუ ქეთევანი,
მარიამი, მზექალა,
ელენე თუ ნიკოლოზი,
ეველა ერთად შეგვეარა.
უწმინდესის მზრუნველობით
მადლს ხომ უნდა ეხარა,
ახმიანდა საქართველო,
ნათლულების ქვეყანა.
ეველა გუთხე გააბრწეინა,
ცამაც გადაიკარა,
მოდის ჩემი საქართველო,
ნათლულების ქვეყანა.

ბაგრატი

ბაგრატის ტაძარი ქუთაისში მდებარეობს, მთინარე რიონის მარჯვე-ნა ნაპირას, „უქიმერიონის გორაზე“. აგებულია X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, ბაგრატ III-ის (975-1014) მეფობის დროს.

ქუთაისის კათედრალის აგების თარიღი ირკვევა მისივე წარწერით. ტაძრის ჩრდილოეთ კედელში, სარკმლის ქვემოთ მოთავსებულ დიდი ზომის ქვის ფილაზე მარჯვენა მხარეს იკითხება: „ოდეს განმტკიცნა იატაკი ქორონიკონი იყო 223“. ქართულ წერილობით ძეგლებში პირველი შემთხვევაა, როდესაც რიცხვები გადმოცემულია არაბული ციფრებით და არა ასოებით. „ქორონიკონი 223“ ნიშნავს 1003 წელს (რადგან ქორონიკონის ციკლი დაიწყო 780 წელს, ამიტომ მას უნდა დაემატოს 223).

ბაგრატის ტაძარი ტრიკონქის ტიპის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. გუმბათი ოთხ მძლავრ ბურჯს ეყრდნობოდა, ჯვრის შვერილი მკლავები გარედან სწორკუთხა, შიგნით კი (აღმ. სამხრ. და ჩრდ. მხარეს), ნახევარწრიული აფსიდებით იყო დასრულებული. შიგნითვე დასავლეთის მკლავს შემოუყვებოდა პატრონიკე-გალერეა, სადაც წირვა-ლოცვისა და დღესასწაულების დროს მეფე-დედოფალი და დიდებულები იდგნენ. საკურთხევლის ორსავ მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნე იყო. მშენებლობის დამთავრებამდე ძეგლს ჩრდილო-დასავლეთიდან სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, ხოლო XI საუკუნის I ნახევარში სამხრეთიდან და დასავლეთიდან მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭეები მიაშენეს.

აგებული ტაძარი ყოვლადნინდა ლვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ III-მ ეს ძეგლი მთელი საქრისტიანოს დედის — მარიამის სახელზე ააგო, და ამავე დროს საკუთარ დედას — გურანდუხტ დედოფალს მიუძღვნა.


ბაგრატის ტაძარი საოცარი ხუროთმოძღვრული ქმნილებაა და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში. მაგრამ არანაკლებ საოცარი და განსაკუთრებულია ის ფაქტი, რომ ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აგებულ ამ შედევრს ხალხმა მეფის სახელი უწოდა. ბევრ ქვეყანაში უამრავ მეფესა და დედოფალს აუგია ტაძარი, მაგრამ მათ იშვიათად თუ შერქმევიათ ქტიტორის სახელი, ბაგრატის ტაძარს კი ხალხის ხსოვნაში სხვა სახელი არ აქვს.

მეფემ ტაძარს იმთავითვე საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს დანიშნულება მიანიჭა. აი, რა არის ბაგრატის ტაძარი!

სამხრეთ-დასავლეთის ფასადის
თავდაპირველი ფორმების აღდგენის
ცდა მხატვარ დ. ფედოტოვისა.

ჭიათურა

X-XI სს. მიჯნა. ტაძრის
გვერდის რეკონსტრუქცია
კ. ცინცაძის მიხედვით.



მისი აგებით აღინიშნა საქართველოს პოლიტიკური გამთლიანება!

მისი კურთხევით დაიწყო თვისებრივად ახალი ერა ქართველი ხალ-
ხის ისტორიაში!

„მატიანე ქართლისას“ ავტორის გადმოცემით ტაძრის კურთხევის
ცერემონიალი სახალხო დღესასწაულად იქცა: „აკურთხა ეკლესია ქუ-
თათისა განგებითა, ხელმწიფენი და კათალიკოსი, მღვდელთმოძღუ-
არნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღვარნი, და ყოველნი დიდე-
ბულნი ზემონი და ქვემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და
სხუათა ყოველთა სახელმწიფონი“.

ბაგრატ III-მ ქუთაისის კათედრალის აგებით და მისი გრანდიოზუ-
ლი კურთხევით უკვე დამკვიდრებულ სამონასტრო კერებს ღირსეუ-
ლი პარტნიორის გაჩენა აუნია.

ბაგრატის ტაძარი არა მარტო ლიტურგიის შესასრულებული ადგი-
ლი, არამედ საქართველოს გაერთიანების, ქართული საზოგადოების
სულიერი კულტურის დონის მატერიალური განსახიერება იყო!

დროთა ვითარებაში დაიწყო ბაგრატ III-ის მიერ გაერთიანებული
საქართველოს დაშლა, რასაც მოჰყვა ტაძრის დანგრევაც. დანაწევრე-
ბულმა ქვეყანამ ტაძარს ვეღარ მოუარა.

ტაძარი პირვანდელი სახით 1691 წლამდე იდგა. ვახუშტი ბაგრატი-
ონის გადმოცემით, მეფე არჩილ II (1647-1713) იმერეთის ტახტისთვის
იპრძოდა, ქუთაისის ციხეში მჯდომი ოსმალები მის მეტოქეს, ალექ-
სანდრე IV-ს უჭერდნენ მხარს. მას მხარს უჭერდა სამეგრელოს გამგე-
ბელი გიორგი ჩიქვანიც. სამეგრელოს გამგებელი ოსმალებთან იყო
დაკავშირებული და მისი წაქეზებით ოსმალებმა ტაძარი „შემუსრეს“,
დიდალი ძვირფასეულობა დაიტაცეს და ციხე დაანგრიეს.

ტაძრის დანგრევის საქმე საბოლოოდ დააგვირგვინა რუსეთის გე-
ნერალმა ტოტლებენმა. 1770 წლის აგვისტოში ქუთაისის ციხის აღების
შემდეგ მან ციხესთან ერთად ბაგრატის ტაძარიც დაანგრია. აფეთქე-
ბის დროს ჩამოინგრა გუმბათი და სახურავი.

1952 წლიდან დაიწყო ბაგრატის ტაძრის აღდგენა-კონსერვაციის
სამუშაოები, რომელიც დღესაც მიმდინარეობს.

* უქიმერიონის გორაზე დღემდე შემორჩენილა ძველი ციხესიმაგრის ნაშთები.
ამ ციხემ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა VI საუკუნეში ირან-ბიზანტიის
ომის დროს; ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობით, უქიმე-
რიონის და ქუთაისის ციხეების მფლობელი მტკიცე კონტროლს უწევდა ეგრისის
აღმოსავლეთ ნაწილს, ლეჩეუმსა და სვანეთს.

ნათესა - ჯანაშია

ცქაფონია ტრისტი

ყველა კა
მარატებულებით
ციცის
ჩაშვადების
ყველა!

ცქაფონის ფუღუროში
დიდი სამზადისია, -
ორი წელი შეუსრულდა
კურჭუმფულა ცისიას!

ფაციფულის ცქაფონ, სუფრას
ასოცირაათცევიანს,
ცოტა წელი სომ არ უნდა?
ეხმარება ცისიაც.

მოუერთ თავი უგეე
საციუეეთის ბინაძრებს.
ცქაფომ შვილის დღეობამდე
რამდენიმე დღით ადრე

მოსაწევე ბარათები
დაურიგა მეზობლებს,
მეზობლების ნაცნობებს და
ნაცნობების მეგობრებს.

საჩუქრების გროვა დაღგა,
ცქმუტავს ციცქნა ცისია -
ვერ იჯერებს, ნუთუ ეველა
საჩუქარი მისია?

სუფრა არის არნახული:
ნუში, თხილი, კაკლი...
თუ რამეა საკნატუნო,
ემელაფერი აქ არის.

შებლამით გააცილა
ცქაფუნიამ სტუმრები,
ციცვებს კილები სტკილდათ
ნუშის ნაკნატუნები.

ალაგებდა ცქაფუნია
ნასუფრალს და ფიქრობდა:
დარჩენილ თხილს ამ
ზამთარში
ვიმეოფინებ ვითომო?

ზამთარია, ისე ბარღნის
არაფერი არ მოჩანს,
ჟყებ მკრთალად ორი ციუვის
ორი კუდი გამოჩნდა.

წინ - ცისია კუდფუმზულა,
ტომრის უკან - ცქაფუნა,
ტომარამი - წაბლი, თხილი,
რკო, კაკალი კნატუნა.

ალბათ ფიქრობთ, თოვლში ციუმა
კაკალს როგორ მიაგნო?
ნუ სართ ასე სულსწრიაფები,
სულუველაფერის გიამბობთ:


ცქაფოს შეა ღეგეშერში
სარჩო შემოელია,
ფუღუროში შეიუვეა,
სევდა რომ მოერია.

ცისიამაც მოიწეინა,
აშინებდა ზამთარი.
საციუვეთში ეველას მოსდო
ჩიტმა მათი ამბავი.

- დავეხმაროთ მეზობლებსო,
დაფაცურდნენ ციუვები.
თქვენ გგონიათ მე ვიგონებ? -
ნამდვილ აშბავს გიევებით.

ასეთა მისევდით, ის ტომარა
საჭმლით სავსე რად იქთ? -
ეველა ციუვმა მეზობლისთვის
რაც შეეძლო, გაიღო.

დიდ სისარულს ვერ მალავდა
ჩიტი ენატარტარა:
- ხედავთ, ციცვებსაც ციცდნიათ
ერთმანეთის გატანა!



მხატვარი
ლაშა სულაპაური

ა ე ნ დ ი ს
ა ნ გ ნ თ ხ ი

როპერტ მესხი



მხატვარი
როენა შელეგია



კატა ბირის დაბანისას
უერს თუ ჩამოიქოლებს,
თუ წვიმს, წვიმა გადაიღებს,
თუ თოვს, აღარ ითოვებს.

თუ გოჭები უმიზეზოდ –
ჰევიტინებენ ტლაპოში,
უსათუოდ დაგჭირდებათ
ჩექმები ან კალოში.

ფუტკარი თუ სკას არ ტოვებს,
თუ სულ ჩხავის ჟანხალა,
ნალექიც არ დააუღვნებს,
ნუ გააღებთ ფანჯარას.

თუ მერცხლები მაღლა ფრენენ,
ცას სწოდებიან ნისკარტით,
თბილი მწუხრი იქნება და
ასეთივე ცისკარი.

მარჯვნივ ბიჭი ჩამომჯდარა,
მარცხნივ ქერა გოგო ზის,
უურადღებით მოისმინეს
დიდი ბებოს პროგ ნოზი.

– დღეს როგორი ამინდია? –
ერთხმად ეკითხებიან.
– მოწვიმს, მუხლი არ მატეუებს,
გენაცვალოთ ბებია!



8



გუსტალუნი

იყო ერთი პატარა ქალაქი და ერთი პატარა ქუჩა პქონდა. ქუჩის აქეთ-იქით, სწორ ხაზზე, ლამაზი, ნაირფერად მოხატული სახლები ჩამწკრივებულიყო. ქალაქი ფერდობზე გაეშენებინათ და ზოგი სახლი მაღალი ჩანდა, ზოგიც – დაბალი. ქუჩის თავსა და ბოლოში კი, იქ, სადაც სახლები იწყებოდა და მთავრდებოდა, ლამაზი მინდვრები გადაჭიმულიყო – ისეთი მშვენიერი, მნახველი აღტაცებას ვერ მალავდა.

ქალაქში ხალხი მშვიდობიანად და უწევინრად ცხოვრობდა. იმდენად მდიდრები იყვნენ, ყველას საკუთარი სახლი ედგა. საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ ყოველ წელიწადს სახლებს სხვადასხვაფრად დებავდნენ. ფერებს გულმოდგინებ ირჩევდნენ, ერთმანეთში ჩხეუბი იშვიათად მოხდიოდათ. ძუნებით მორჩილი ხალხი იყო, ცხვრებივით. საღებავებს, – წითელსა თუ ცისფერს, ყვითელსა თუ ვარდისფერს, – რომელსაც ქალაქისთავი აარჩევდა, სამდებრო ამზადებდა.

და მაინც, ქალაქში ყოველთვის გამოიერეოდა ხოლმე ვინმე, ვინც ან ბევრ წყალს შეურევდა საღებავს ან ცოტას, მეორე რამდენჯერმე უსვამდა საღებავს უკვე წასმულ საღებავზე, რაც სულ სხვაგვარ ნაირფეროვნებას ქმნიდა და არა იმგვარს, ქალაქისთავს რომ სურდა. უცხო ფერთა ეს არევ-დარევა კი ქალაქს უფრო ალამაზებდა.

...სახლები, ახალ-ახალ კაბებში გამოწყობილი, იდგნენ და პატარა კრიალა თვალებით ერთმანეთს უცქერდნენ, გეგონებით, არც არაფერი უკვირო, არც არაფერი უხარითო.

ყოველ კვირადდეს ქალაქის მცხოვრები სასეირნოდ დადიოდნენ. ახალგაზრდები ველოსიპედებით, ხანდაზმულნი კი – ფეხით. ყველა კმაყოფილი და მხიარული იყო.

ლაპარაკს შევყვავი და ყველაზე მნიშვნელოვანი კი დამავიწყდა: ქუჩის თავში ერთი თეორი სახლი იდგა. ეს სახლი განსაკუთრებული წესრიგითა და სისუფთავით იქცევდა ყურადღებას. მით უფრო, რომ იგი არასოდეს შეუღებავთ სხვა ფერად. წელიწადი წელიწადს მისდევდა, სახლი კი სულ თეორი იყო. მასზე არაფერი მოქმედებდა – არც ქალაქისთავის დადგენილებები და არც ტრადიციები.

ამ სახლში თურმე ოდესდაც ერთი უცნაური მოხუცი ცხოვრობდა, რომელიც პატარა ქალაქის მშვიდობიან ფუსფუსში საერთოდ არ ერეოდა. ერთ დღეს ეს მოხუცი მოკვდა და სახლიც გამოიკეტა. არც არავის უყიდია, არც მიმხედავი ჰყავდა. ამიტომაც წლიდან წლამდე თეორი რჩებოდა.



გაზაფხულის ერთ დღილას კი... და ამ წელს მოელი ქალაქი ვარდისფრად იყო გადადებილი... მიწისძვრამ სახლები შეარყია და მოსახლეობა შეაშფოთა. მათ ასეთი რამ თავს არასოდეს გადახდომოდათ და არც სმენოდათ. მიწისძვრას მაინცდამაინც დიდი ზარალი არ მოჰყოლია, მარტო ორგან თუ სამგან სახლების ფასადი გაიბზარა, ოთხი ფანჯარა ჩაიმტვრა და ერთიც ჩინური ფაიფურის ჩაის სერვიზი ნახეს დამტვრეული.

სწორედ ამ დროს თეორი სახლის წინ ერთმა პატარა გოგონამ ჩაიქროლა გელოსი პედიო და... გაოცებული შედგა. სახლიდან უცნაური მელოდია ისმოდა. გოგონა კარს გაუბედავად მიუახლოვდა, სახლში შევიდა და ადარც გამოსულა. მალე ახლომახლო მცხოვრებლებმა მოიყარეს თავი და ნელ-ნელა იწყეს სახლში შესვლა. რა თქმა უნდა, ჯერ უფრო გაბედულები შევიდნენ. მუსიკის ხმა ისე სასიამოვნოდ იღვრებოდა, რომ დაბნეული სახეები გაუნაოდათ.

ეს რა ხდებაო? — კიოხულობდნენ გაოცებული.

მუსიკის ნათელი, მხიარული და ტკბილი ბგერები მაღლა, პაერში იჭრებოდა, სახლის ღრიჭოებიდან, საბურედან გამოდიოდა და არემარეს ეფინებოდა. პირველი მომსვლელნი სუნთქვაშეცრული დადიოდნენ და გაფაციცებით ეძებდნენ, საიდან ისმის ეს ჯადოსნური ხმებიო. მერე ერთ ბნელ ოთახში აღმოჩნდნენ. ერთმა, ყველაზე ყოჩადმა, ფანჯარა და დარაბა გააღო. შემოჭრილ სინათლეზე მიყრილ-მოყრილი ნივთები, საყვავილებში დამჭკნარი ყვავილები, ტყავის ყდებში ჩასმული წიგნები, საკანფეტეები, კედლებზე დაკიდებული უამრავი ნივთი დაინახეს. ოთახის ერთ კუთხეში კი რადაცა შავი მოწყობილობა იდგა, რომელმაც ხალხის ყურადღება ყველაზე მეტად მიიქცია.

ეს იყო მექანიკური პიანინო, რომელიც თავისით უკრავდა და ირგვლივ ყველაფერს სასიამოვნოს ხდიდა. პიანინო მიწისძვრას მოემართა და ახლა უკრავდა და უკრავდა.

მოელი ქალაქი აქ მოგროვდა. ბავშვები, ახალგაზრდები, ხანში შესულნი, მოხუცებიც კი, ერთბაშად რადაც დაუოპებელმა გრძნობამ შეიპყრო, მუხლები თავისთავად ატოკდა, ტანმა რჩევა დაიწყო. აქამდე მოუხეშავი ფეხები ახლა მსუბუქად დასრიალებდნენ; მკლავები თავისით იშლებოდნენ. ერთმანეთს ყველა დიმილით შესცემოდა. მერე ბავშვებიც ხელში აიყვანეს და თავაწყვეტილი ცეკვა დაიწყეს...

დიდხანს, დიდხანს ცეკვავდნენ, სიხარულით ტრიალებდნენ. ბოლოს რამდენიმე სწრაფი, მხიარული ნოტი და... მუსიკა შეწყდა.

ეს ამბავი ჯერ ვერავინ შეამჩნია. მერე უცებ ყველა გამოფხიზლდა და ახმაურდა. ბავშვები ტიროლენ, მოზრდილები ოხრავდნენ, ახალგაზრდები ერთმანეთს ეხვეოდნენ.

ხალხი ერთხანს კალავ ელოდა მუსიკის ხმას, მაგრამ მექანიკური პიანინო სიჩუმეში ჩაძირულიყო. ბოლოს ყველამ თავ-თავიანთ სახლებს მიაშურა. მიღიოდნენ მოწყენილები, სევდიანები.

სახლებში ნადველმა დაისადგურა.

ერთ დღეს გადაწყვიტეს ქალაქებარეთ გასეირნება მოეწყოთ; წასულიყვნენ იქ, სადაც ჯერ ვეხი არავის დაედგა.

გელოსი პედებით გაემგზავრნენ. მალე მადალი, ხშირი ბალახის, ყვავილების, აყვავებული ხეების ტყვეობაში აღმოჩნდნენ. ჩიტები ისე ტაბილად გალობდნენ, ისეთი გალობა ჯერაც არავის გაეგონა. პატარა ქალაქის მცხოვრებლები ახლა უფრო საამო პანგებმა დაატყვევა, ვიდრე მექანიკური პიანინოს მოსმენისას. ბალახში მიმალული რომელიდაც ჩიტი ისე მომხიბლავად სტვენდა, გეგონებოდაო, მიწა მდერისო.

ხალის ქუდებსა და ბაფთიან კაბებში გამოწყობილი გოგონები ველოსი პედებიდან ყვავილების მოსაგროვებლად ჩამოხტენენ.

ერთი ბიჭი იდუმალი სახით სხვებს განერიდა. დანარჩენებმა იფიქრეს, მოწყენილია, მოდიო, გავართოთო. მან კი გაიდიმა და ოქვა:

— რომ იცოდეთ, ასეთი ბედნიერი არასოდეს ეყოფილგარ.

ბიჭს თვალები ანთებოდა და ლაპარაკი უძნელდებოდა. ეს იყო პირველი პოეტი ამ პატარა ქალაქისა.

მეორე ბიჭმა ჩალისქუდიან გოგოს შეხედა და საოცრად ლამაზი ეჩვენა.

ბიჭმა ჩასჩურჩულა:

— რა ლამაზი ხარ დღეს!

გოგონამ უპასუხა:

— შენც!

... და ესენი იყვნენ ამ პატარა ქალაქის პირველი შეყვარებულები.

სადამოს შინ რომ დაბრუნდნენ, მშობლებმა ისინი ვეღარ იცნეს.

— საიდან მოდიხარო?

— მდელოებიდან.

— ველოსი პედები რა უყავით?

— ბალახებში დაგვრჩა.

ერთი სიტყვით, ბერი რომ ადარ გავაგრძელოთ, ამ პატარა ქალაქის ახალგაზრდები თავიანთ მშობლებს გამოცვლილები ეჩვენათ.

ამის შემდეგ პატარა ქალაქმა უფრო მეტი ბედნიერება იპოვა, ვიდრე როდისმე განეცადა.

**ფრანგულიდან თარგმა
ნატო გარდოშეილმა**

მხატვარი
ელენ ვარამაშვილი





ნიკორწმინდა



გრემი



ყინწვისი



ალავერდი

ქრისტონები

ქ რ ი ს მ თ ი რ დ ი

ქ რ ი ს მ თ ი რ დ ი

ქ რ ი ს მ თ ი რ დ ი


ქ რ ი ს მ თ ი რ დ ი

ქ რ ი ს მ თ ი რ დ ი


ქ რ ი ს მ თ ი რ დ ი

ქ რ ი ს მ თ ი რ დ ი

ბეთანია




ვარძია




გელათი



სვეტიცხოველი



ქაშვეთი



მეტეხი



საფარა



იყორთა

კურიერი



* * *

ცხვრის ჯოგს, გინდა მცირე ფულსა
მცირე ქალაქი მიადგი,
მველთა მეფის სახელს იტქვი,
გაგიპტისკენ ფეხი გადგი.

* * *

მიწის მუშის იარაღსა
ბოლო ასო არა აქცეო,
და მეორეს, თუკი დაგოვლით,
ორთავ ხელით თან დაგვაჭეო,
საერთოდ ქვეყნის ამბები
მას გადააქვს გადმოაქვეო.



* * *

ვეხში რომ ხელი მომკიდეს,
ზღვაში ჩამკიდეს თავითა, რა
ამოძილეს იქიდან, მრვაწე
გზა ცრუმლით შავითა.

* * *

ბოსტანში დაგვიხედე —
ჯიღოსანი ისი მინდა, —
მარგალიტი ჩაწყობილი,
ჯიღოსანი ისი მინდა,
ათას ფერად წახვეული,
ტყაოსანი ისი მინდა,
გინც რომ ამას გამოიცნობს —
მეცნიერი ისი მინდა.



* * *

ოვალი აქვს პატიოსანი,
ხაზინას არ დაედება, —
ცოცხალსა ნაპერწყალსა ჰგავს,
აბელსა არ მოედება.



* * *

არც აქვს გემო და არც ფერი
ჩვენოვის არის კაი ფერი,
ქვეყანაზე რომ არ იყოს
მოისპობა შველაფერი.

* * *

რაც ტყე იყო, ის ნადირი
გამოდიოდაო.

* * *

კარგმა ყოფნამ (ცხოვრებამ) ორად
კი არ მაქცია, მაგრამ ორს კი დამამჯობინაო.

* * *

მოკაბანე კაკაბი მახეში გაებმისო.

* * *

ვუტკრისა და ჭიანჭველის
შრომა კაცს ჭიას ასწავლის.

კურიერი

კურიერი

შპალერის ყვავილი

იყო და არა იყო რა, იყო ჩვეულებრივი სახლი. ამ ჩვეულებრივ სახლში სხვა ნივთებთან ერთად ცხოვრობდნენ:

1. მხიარული რადიო **ლა-ლა-ლა**;
2. ძალიან დარდიანი ტელევიზორი **ვაი-ვაი**;
3. ტელეფონი **ტუ-ტუ**;
4. ჰადუღარა **ქშუ-ქშუ**;
5. შპალერის ყვავილი **უკ**.

შპალერის ყვავილს ასე იმიტომ ეძახდნენ, რომ ძალიან ლამაზი იყო და, ვინც კი შეხედავდა, ყველა აღტაცებით ამოიძახებდა ხელმე: „უკ“.

ახლა იტყვით, დიდი ამბავი, ასეთი ნივთები ყველა სახლშიაო. კი ბატონო, გეოანხმებით, ორონდ, ცოტა უცნაური ის იყო, რომ **უკ** კედელზე ვერ ჩერდებოდა და მოელი დღე ოთახიდან ოთახში დადიოდა. ძალიან ჭორიკანა და წანწალა იყო.

გაოქნდებოდა თუ არა, **უკ** მაშინვე ტელევიზორთან მიირბენდა.

— როგორდა ხარ, მეზობელო? — პკითხავდა და თან ახალი ამბების მოსახმენდ მოემზადებოდა.

— ვაი-ვაი, — დარღიანად ამოიხსებდა ტელევიზორი **ვაი-ვაი**, — აბა, როგორ ვიქნები, ნახე, რა ხდება ქვეყანაზე, — და მოჰყვებოდა, მაგრამ რას მოჰყებოდა: სადღაც მიწისძვრამ ქალაქი დაანგრიაო; სადღაც ქარიშხალმა მოელი ტყე ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაიტანაო; სადღაც მოხუცებს პენსიას არ აძლევენო და ასე შემდეგ...

— უკ, უგ დარდი გადაგიყოლებს, — ეტყოდა **ვაი-ვაის უკ** და თავ-პირის მტვრევით გარბოდა რადიო **ლა-ლა-ლასკენ**.

— ერთი, შენს გახარებას, რამე მხიარული სიმღერა მომასმენინე, თორემ ამ **ვაი-ვაიმ** გული დამიმდიმა, — ეტყოდა **უკ ლა-ლა-ლას**. **ლა-ლა-ლასაც** მეტი რა უნდოდა: მოადებდა პირს და **ლა-ლა-ლაააა!** — თან მდეროდა და თან მაგიდაზე ჩტუნაობდა.

ამის მერე **უკ** ტელეფონი **ტუ-ტუსთან** მიცუნცუხდებოდა.

ტუ-ტუ მოელი დღე ჭორაობდა, ტელეფონი იყო და სხვა რა ხაქმე პქონდა?!?

— გაიგე ახალი ამბავი? — ჩასჩურნებდა **უკ**.

— რა ამბავი? — უკრმილს

დაცევებდა **ტუ-ტუ** და მიდიო!

— სანამ ქაქანით არ დაიღ



ლებოდნენ, არც ერთი ჩუმდებოდა და არც მეორე.

ჭორალბით გულს რომ იჯერებდა, **უქ** ახლა, სამხარეულოში, მაღულარა **ქშუქშუსთან** გარბოდა.

— ერთი, ჩაი მომიდუღე, შენს გახარებას, ცოტა სული მოვითქვა. — **ქშუქშუ** პეთილი ქალბატონი ბრძანდებოდა, თანც მაღულარა და მოადუღებდა ჩაის, აბა, რას იხამდა?!

ასე გადიოდა დრო.

ერთ დღეს დიასახლისს ქოთით მექსიკური წიწაკა აჩუქქეს.

დიასახლისმა ქოთანი ფანჯრის რაფაზე შემოდგა.

შპალერის ყვავილმა ახალი ბინადრის დანახვაზე ტრადიცია დაარღვია და დილადრიან **ვაი-ვაის** მაგივრად მექსიკურ წიწაკას ესტუმრა: ხომ უნდა გაეგო, ვინ დასახლდა მათ გვერდით?!

— გამარჯობა, მეზობელო, აბა, მომიყევი, ვინ ხარ, აქ რატომ ხარ, რას აკეთებ? — მიაყარა კითხვები და ფანჯრის რაფაზე შემოსკუპდა.

წიწაკას არც სტუმრები უყვარდა და არც ჭორაობა. „ნეტავ, ეს მეტიჩარა ვინ არის და რა უნდაო“ — გირიფიქრა და ზურგი შეაქცია.

— ერთი ამას დამიხედვთ, რა უზრდელი ყოფილა, — გული მოუკიდა **უქ**-ს, — ვიცოდე მაინც რას იძინობები?

მექსიკურმა წიწაკამ არც ამჯერად გასცა პასუხი — თავდაჭერილი სინიორი იყო.

— კმ, ჩემთან საუბარსაც არ კადრულობ?! — გაბრაზდა **უქ** და რაფიდან პირდაპირ ქოთანზე ახტა: — კარგად მომისმინე: ამ სახლში ასეთი წესია — მე უნდა ვიცოდე უველავერი! მე თუ არ ვეტყვი, არც ტელევიზორი აჩვენებს, არც რადიო მდერის, არც ტელეფონი რეგავს, არც მაღულარა ადუღებს ჩაის... შენ ვინ ხარ, პასუხსაც რომ არ მცემ?! შე გრძელცხვირა!

მექსიკური წიწაკა ბრაზისგან ერთიანად გაწითლდა, მაგრამ მაინც არ ამოიდო ხმა: რაც უნდა იყოს, თავდაჭერილი სინიორი გახლდათ!

უქ ამაზე სულ გადაირია: ადგა და წიწაკას ფოთლები რომ დააწიწენა, ეგ არაფერი და, აწიოლებულ ლოვაზეც უკინა!

უკინა და სიმწრისგან ჯერ აყვირდა, მერე ახტა, დახტა, ახტა, დახტა და კადელს მიეტყვება.

ახლაც იქ ზის, ცრემლები დაპალუპით ჩამოსდის და სტუმრად ვეღარ დადის, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა სახლში:


ტელევიზორი **ვაი-ვაი** ისევ ძველებურად ჭორავს;

რადიო **ლა-ლა-ლა** ისევ ძველებურად მდერის;

ტელეფონი **ტუ-ტუ** ისევ ძველებურად ჭორაობს;

მაღულარა **ქშუქშუ** ისევ თუხთუხებს და დილაობით მექსიკურ წიწაკას ეპატიჭებს ჩაიზე — ძალიან მოსწონს თავდაჭერილი სინიორები.

მხატვარი
ლიკა დემატრაშვილი





ରତ୍ନାକରଣମହାପାତ୍ର


ବିଜ୍ଞାନ ପରିଷଦ

A 6x6 grid puzzle featuring numbered tiles (1, 2, 3, 4, 5, 6) and various icons. The icons include: Column (5), Earth (10), Treble Clef (20), Telephone (20), Tree (25); Feather (10), Smiley Face (10), Books (5), Tree (15), Treble Clef (25), Arrow (25); Books (15), Feather (15), Earth (25), Column (20), Feather (20), Earth (5); Tree (20), Column (25), Number 20 (20), Treble Clef (15), Tree (10), Books (10); Treble Clef (5), Tree (5), Books (25), Feather (5), Column (15), Smiley Face (15); Earth (15), Arrow (25), Column (10), Treble Clef (10), Books (20), Feather (25).

დაფუა-
ზე განლაგებული 6
სიმბოლო სხვადასხვა სფეროს
აღნიშნავს. დანარჩენ ოთხსაც თავისი
დატვირთვა აქვს: – აირჩიე სექტორი;
 – ზარი რედაქციაში; **20** – ნაჩუქარი 20
ქვლა; – სკოლის გადასვლა.

ერთდროულად გააგორე ორივე კუბურა. ვთქვათ
დაჯდა მ და 5. მათს გადაკეთაზე იძოვი სიმბოლოს
— ეს ნიშნავს, რომ კითხვა, რომელსაც უნდა უპა-
სუხო, ხელოვნების სფეროდანაა და 15 ქულას იგებს.
იმ შემთხვევაში, თუ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემთ,
გაკლდებათ 5 ქულა და თამაშს შემდეგი მოთა-
მაშე აგრძელებს. ვთამაშობთ სექტორების
ამოწურვამდე. თამაში შეიძლება ორ
და მეტ ბავშვთან.

გააკეთე კუბურა




ვითხები



ისტორია

1. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე. 5 ქ.
2. ვინ აღმოაჩინა ამერიკა? 10 ქ.
3. სად დაიბადა ნაპოლეონი? 15 ქ.
4. რა არის გილიოტინა? 20 ქ.
5. რუსეთის კარზე მოღვაწე ქართველი მხედართმთავარი. 25 ქ.



ლიტერატურა

1. რა პროფესიის იყო „პატარა უფლისწულის“ ავტორი. 5 ქ.
2. ყველაზე ცნობილი ინგლისელი გადა. 10 ქ.
3. ბურატინი იტალიურად. 15 ქ.
4. ცნობილი შვედი მეზღაპრე ქალი. 20 ქ.
5. ცნობილი ქართველი მოღვაწე, რომელიც ერთდროულად იყო მწერალიც, საეკლესიო პირიც და დიპლომატიც. 25 ქ.



გეოგრაფია

1. სახელმწიფო, რომელიც მთელ კონტინენტს მოიცავს. 5 ქ.
2. ევრესტის მეორე სახელი. 10 ქ.
3. ყველაზე დიდი ტბა საქართველოში. 15 ქ.
4. რომელი ქვეყნის სახელი ჰქონდა ერთ-ერთ ოკეანეს? 20 ქ.
5. სად ჩაედინება მდინარე მტკვარი? 25 ქ.



სილებები

1. რა ჰქონდა თიხის ნაკეთობას. 5 ქ.
2. რა სახელით არის ცნობილი ლეონარდო და ვინჩის მონა-ლიზა. 10 ქ.
3. შთაგონების სიმბოლო ხელოვნებაში. 15 ქ..
4. რა ჰქონდა შენობას, სადაც ინახება ხელოვნების ნიმუშები? 20 ქ.
5. რა არის ანიმაცია? 25 ქ.



მუსიკა


1. რომელი ინსტრუმენტის სახელი ჰქონდა მუსიკალურ გასაღებს. 5 ქ.
2. ვისი სახელობისაა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. 10 ქ.
3. რა ჰქონდა ოთხი წევრისგან შემდგარ ანსამბლს? 15 ქ..
4. ვალსების მეფე. 20 ქ.
5. პიანინოს წინაპარი. 25 ქ.



ბუნება

1. ჩეზე მცხოვრები ჩანთოსანი ცხოველი? 5 ქ.
2. სტიქიური მოვლენა, რომელიც აჩენს ცეცხლს. 10 ქ.
3. ყველაზე დიდი მახრხობელა გველი. 15 ქ.
4. უდაბნოს ტრანსპორტი. 20 ქ.
5. რომელმა ფრინველმა აღმოაჩენა თბილისი ვახტანგ გორგასალს? 25 ქ.

მათემატიკური ცაცხლებები



შესრულე არითმეტიკული მოქმედება და მიღებული რიცხვის მიხედვით გააფერადე ნახატი მოცემული ცხრილის დასმარებით. სადაც არ არის მითითებული ფერი გააფერადე შენი გემოვნებით.

ნამი რას

ერთ ოჯახში ცხოვრობდა სამი და – კესო, ანი და მართა. კესო არ იყო მართაზე უფროსი, ანი კესოზე პატარა იყო. გამოიცანი დებიდან რომელი იყო უფროსი, საშუალო და ნაბოლარა.



მხატვრის თავისუფალი გვერდი

მხატვარი
ნანა სანაია

ყველას, ვისაც სურვეილი აქვს, შეუძლია ამ გვერდის შოთვა.

„დილის“ არსებობის 110 წლის მანძილზე ქურნალში ბევრი დიდებული ადამიანი და ღირსეული მამულიშვილი მოღვაწეობდა. მათ შორის უპირველესი იყო მისი დამარსებელი და სულისხამდგმელი მარიამ ივანიშვილ-დემურია. ამიტომ გადავწყვიტეთ, უფრო ფართოდ გაგვეცნო მკითხველისთვის მისი ღვაწლი და დამსახურება.

გარდა იმისა, რომ იყო დიდი საზოგადო მოღვაწე, საუკეთესო რედაქტორი და ქველმოქმედი, იგი შესანიშნავი საბავშვო მოთხოვებისა და პიესების ავტორი და მთარგმნელია.

სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე ქართველი საზოგადოება მარიამ ივანიშვილ-დემურიას მოღვაწეობის ამ მსარეს ნაკლებად იცნობს, რადგან ერთ კრებულად მისი ნაწარმოებები დღემდე არ ყოფილა გამოცემული.

ამჯერად მკითხველს შეძლებისდაგვარად სრულად ვთავაზობთ მის მხატვრულ შემოქმედებას.



ფოტო ყდაზე: გის ლაპაურის
გამომცემელი: ააიპ საბავშვო მნერლობის
განვითარების ასოციაცია
ტელ.: 293-69-77; 272-97-67
<http://www.dila.ge>, el-fosta: dila1904@yahoo.com
ფასი: 2 ლარი